გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკა

ევროპის უნივერსიტეტი

2023 წელი

1. უნივერსიტეტის შესახებ

ევროპის უნივერსიტეტი მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც 2012 წლიდან ახორციელებს საქმიანობას.

უნივერსიტეტი აერთიანებს 3 ფაკულტეტსა და 15 საგანმანათლებლო პროგრამას, სადაც სწავლობს 1000-მდე ადგილობრივი და 2500-მდე საერთაშორისო სტუდენტი 70-ზე მეტი ქვეყნიდან.

სწავლა-სწავლებასთან ერთად უნივერსიტეტი ორიენტირებულია კვლევით საქმიანობის მხარდაჭერაზე. ამ მიზნით ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: სამართლის ინსტიტუტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი.

უნივერსიტეტს მდგრადი განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები დეკლარირებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვისთვის უნივერსიტეტმა პირველი მნიშვნელოვანი აღიარება Times Higher Education (THE) Impact Rankings-ის 2022 წლის გამოშვებაში რანჟირებით მიიღო და 106 ქვეყნის 1406 უნივერსიტეტში მოხვდა.

2. დოკუმენტის აღწერა და მიზანი

ევროპის უნივერსიტეტი, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მოხარულია ჩაერთოს მდგრადი განვითარების საერთო მიზნების მიღწევის პროცესში. ამისთვის, უნივერსიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას ჩადოს ძალისხმევა და იტვირთოს სოციალური, გარემოსდაცვითი და ფინანსური პასუხისმგებლობები.

პოლიტიკის დოკუმენტი ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ აღებულ პასუხისმგებლობებს და განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს გარემოსდაცვითი მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვისა და აღსრულებისთვის როგორც ორგანიზაციის მიერ გაწეულ საქმიანობაში, ასევე პერსონალისა და სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

მდგრადი განვითარების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის, უნივერსიტეტის აქტივობები მოიცავს რამდენიმე მიმართულებას. დაგეგმილი აქტივობების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, აკადემიური წლის ბოლოს და უზრუნველყოფს გაწეული სამუშაოების შეფასებას და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას.

3. გავრცელების არეალი

პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედების სფერო ვრცელდება სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე. მათ შორის აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებზე.

პოლიტიკის გავრცელების არეალი მოიცავს როგორც სწავლა-სწავლებასა და კვლევას, ასევე სხვა ნებისმიერი ტიპის აქტივობასა და საქმიანობას.

4. პოლიტიკის პრინციპები

4.1 უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მენეჯმენტი

- არსებული და ახალი შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- არსებული იფრასტრუქტურის განახლება ენერგოეფექტურობის პრინციპების დაცვით;
- უნივერსიტეტის ტერიტორიის გამწვანება.

4.2 ნარჩენების გადამუშავება

- უნივერსიტეტის საქმიანობით გამოწვეული ნარჩენების შემცირება;
- ბიოდეგრადირებადი ნივთებისა და მასალების გამოყენება, ნარჩენების დახარისხება და გადამუშავების უზრუნველყოფა.

4.3 ავტოპარკის განახლება

- ავტოპარკის განახლება ეკომეგობრული და განახლებად ენერგიებზე მომუშავე ავტომობილებით.

4.4 განათლება

- გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, საუნივერსიტეტო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი საგანმანათლებლო კურსების კურიკულუმში ინტეგრირება.

4.5 საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება

- გაწევრიანება საერთაშორისო ასოციაციებში, რომელთა მიზანია გარემოსდაცვით მდგრადი განვითარების მიზნებზე მუშაობა.

5. ინფორმაცია გაწული სამუშაოების შესახებ და დაგეგმილი აქტივობები (2023-2026)

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მენეჯმენტი

განხორციელებული

- უნივერსიტეტი აღჭურვილია სენსორული განათების ნათურებით, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგიის დაზოგვას;
- უნივერსიტეტში მოქმედებს ელექტროენერგიის დაზოგვის პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც არასამუშაო საათებში ხდება ელექტრომოწყობილებების წყაროდან გამოერთება, ხოლო სამუშაო საათებში მოწყობილობები ჩართულია ენერგოეფექტურ რეჟიმზე.
- უნივერსიტეტის ორივე კამპუსისა და სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ეზო სრულად გამწვანებულია.

დაგეგმილი

- უნივერსიტეტის ახალი კამპუსის მშენებლობის ფარგლებში ენერგოეფექტური მასალების გამოყენება, სტუდენტებისთვის სრულად გამწვანებული ტერასის მოწყობა.

ნარჩენების გადამუშავება

განხორციელებული

- უნივერსიტეტი იყენებს ბიოდეგრადირებად ჭურჭელს და ხელის ელექტროსაშრობებს.
- ქაღალდის მოხმარების შემცირების მიზნით, უნივერსიტეტის პოლიტიკა ითვალისწინებს ნაკლები ქაღალდის მოხმარებას და ამ მიზნით უნივერსიტეტის სერვისები სრულიად გაელექტრონულებულია.

დაგეგმილი

- ჯინვენტორთან გაფორმებული თანამშრომლობის ფარგლებში უნივერსიტეტში ნარჩენი პლატსმასის გადამუშავება.

- პალიტრა მედიასთან თანამშრომლობით, პროექტ მაკულიტერატურის ფარგლებში, უნივერსიტეტის მაკულატურის გადამუშავება.

ავტოპარკის განახლება

განხორციელებული

- უნივერსიტეტის ავტოპარკს 2023 წელს ემატება 3 ელქტოენერგიაზე მომუშავე ავტომობილი. ამდენად მოხდება საწვავის გამოყენების შემცირება.

დაგეგმილი

- ავტოპარკის განახლება ეკომეგობრულ და ელექტოენერგიაზე მომუშავე ავტომობილებით და დამუხტვის სადგურის დამატებას კამპუსის ტერიტორიაზე.

განათლება

განხორციელებული

- უნივერსიტეტში ხორციელდება ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში ისწავლება მდგრადი განვითარების საკითხები, კლიმატური ცვლილებები, კლიმატის მეცნიერებები შემდეგი კურსების ფარგლებში: საქართველოს გეოგრაფია, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა და მდგრადი ტურიზმი. ასევე საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მწვანე ეკონომიკის კურსის ფარგლებში ისწავლება მწვანე ეკონომიკის არსი და ადგილი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

დაგეგმილი

- საუნივერსიტეტო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით არანაკლებ 2 ტრეინინგის ან/და ვორქშოფის განხორციელება.

საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება

დაგეგმილი

- უნივერსიტეტის გაწევრიანება ISCN Network-ში.

უნივერსიტეტის მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა

პოლიტიკა განსაზღვრავს მდგრადი შესყიდვების გაძლიერების სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელიც ეხება უნივერსიტეტის მიერ ერთჯერადი და ხანგრძლივი მომხმარების პროდუქციისა და სერვისებს.

დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის შესყიდვების სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემოსდაცვითი მდგრადობის სასარგებლოდ წარმართვა, სერვისებისა და პროდუქციის შესყიდვების, შენახვისა და გადამუშავებისას ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ეკოლოგიური რისკების შემცირებისთვის, ჯანსაღი საუნივერსიტეტო გარემოს, კამპუსებისა და საერთო საცხოვრებლის უზრუნველყოფისთვის.

ამ მიზნით, უნივერსიტეტი შესყიდვების პოლიტიკაში ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

1. შესყიდვების უზრუნველყოფა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობების დაცვით.
2. შესყიდვების განხორციელება უნივერსიტეტის ნარჩენების შემცირების პოლიტიკასთან თანხვედრაში.
3. შესყიდვებისას გარემოსდაცვითი მდგრადობის პრინციპების დაცვა და ინტეგრირება შესყიდვებსა და ტენდერებში, მომწოდებლებისგან შესაბამისი სერტიფიკატებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა საჭიროების შემთხვევაში.
4. საუნივერსიტეტო გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკის დანარჩენი პუნქტების დაცვა და პატივისცემა.